

შპს “აკვალაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	9
6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	9
7. კომერციული ხარჯი	9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
9. ძირითადი საშუალებები	10
10. მარაგები	11
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
12. საგადასახადო აქტივი	11
13. ფული და ფულის ექვივალენტები	11
14. კაპიტალი	11
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
16. ბალანსის შემდგომი მოვლენები	12

შპს „აკვალანი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	5	12,109,059	8,679,256
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(5,745,994)	(4,379,895)
საერთო მოგება		6,363,065	4,299,361
კომერციული ხარჯები	7	(245,206)	(174,848)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(3,691,932)	(3,091,460)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		(31,996)	80,703
საოპერაციო მოგება		2,393,931	1,113,756
ფინანსური ხარჯი		(5,081)	(11,583)
საკუროსო მოგება		36,314	91,563
მოგება დაბეგვრამდე		2,425,164	1,193,736
მოგების გადასახადი		(27,066)	(22,375)
წლის სრული მოგება		2,398,098	1,171,361

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერი:

დირექტორი
ვახტანგ მესხი

შპს „აკვალანი“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	5	12,109,059	8,679,256
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(5,745,994)	(4,379,895)
სულ შემოსავალი		6,363,065	4,299,361
კომერციული ხარჯები	7	(245,206)	(174,848)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(3,691,932)	(3,091,460)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		(31,996)	80,703
საოპერაციო შემოსავალი		2,393,931	1,113,756
ფინანსური ხარჯი		(5,081)	(11,583)
საკურსო მოგება		36,314	91,563
შემოსავალი დაბეგვრამდე		2,425,164	1,193,736
მოგების გადასახადი		(27,066)	(22,375)
წლის სრული მოგება		2,398,098	1,171,361

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერი:


დირექტორი
ვახტანგ მესხი



შპს „აკვალანი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	3,985,868	3,641,644
არამატერიალური აქტივები		20,174	20,174
ინვესტიციები		2,000	2,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,008,042	3,663,818
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	7,989,642	7,459,948
საგადასახადო აქტივი	11	1,153,616	615,215
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	5,660,103	3,399,213
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	154,666	251,137
სულ მიმდინარე აქტივები		14,958,027	11,725,513
სულ აქტივები		18,966,069	15,389,331
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	14	13,738,418	12,111,899
სულ კაპიტალი		13,738,418	12,111,899
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		291,061	404,418
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		291,061	404,418
მიმდინარე ვალდებულებები			
დივიდენდის ვალდებულება		14,297	14,297
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,213,354	3,263,135
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,227,651	3,277,432
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,966,069	15,389,331

შპს „აკვალანი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	-	11,082,829	11,082,829
მიმდინარე წლის სრული მოგება	-	1,171,361	1,171,361
დივიდენდები	-	(142,291)	(142,291)
31 დეკემბერი 2023	-	12,111,899	12,111,899
მიმდინარე წლის სრული მოგება	-	2,398,098	2,398,098
დივიდენდები	-	(771,579)	(771,579)
31 დეკემბერი 2024	-	13,738,418	13,738,418

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

აკვალაინი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2006 წლის 16 თებერვალს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205124435.

ძირითადი საქმიანობა. შპს „აკვალაინი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცურაო აუზების და Spa ზონების პროექტირება/შენიშვნა, აუზის მოსაპირკეთებელი მასალების, დანადგარების, აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია; წყალმომზადების სისტემების მონტაჟი

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, საბურთალოს ქ.,N38, ბინა 29

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილებს ფლობდნენ შემდეგი ფიზიკური პირები: ვახტანგ მესხი 01010007398 - 100%;

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „აკვალაინის“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-15
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	10-20
ოფისის აღჭურვილობა	2-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას,

შპს „აკვალანი“
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	6,937,411	6,412,921
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5,171,648	2,266,335
სულ	12,109,059	8,679,256

6. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებული	(2,943,587)	(2,614,402)
გაწეული მომსახურების პირდაპირ ხარჯები	(2,802,407)	(1,765,493)
სულ	(5,745,994)	(4,379,895)

7. კომერციული ხარჯი

	2024	2023
რეკლამის ხარჯი	(125,208)	(82,678)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(119,998)	(92,170)
სულ	(245,206)	(174,848)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	(2,743,792)	(2,178,550)
ცვეთა და ამორტიზაცია	(111,165)	(99,971)
იჯარის ხარჯი	(191,386)	(213,901)
საკონსულტაციო ხარჯები	(75,636)	(46,093)
ბანკის საკომისიო	(71,636)	(129,015)
კომუნალური ხარჯები	(70,616)	(28,916)
საწვავის ხარჯი	(67,195)	(57,035)
დაზღვევის ხარჯი	(54,115)	(34,164)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(38,955)	(487)
მივლინების ხარჯები	(36,769)	(59,702)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(16,517)	(7,683)
სხვა ხარჯები	(214,150)	(235,943)
სულ	(3,691,932)	(3,091,460)

შპს „აკვალაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2022	209,447	2,550,322	906,577	65,702	336,138	5,439	4,073,625
შემოსვლა	-	3,250	-	-	27,649	-	30,899
გასვლა/ჩამოწერა	-	(160,033)	(132,292)	-	-	-	(292,325)
31 დეკემბერი 2023	209,447	2,393,539	774,285	65,702	363,787	5,439	3,812,199
შემოსვლა	345,293	17,407	-	36,845	55,651	-	455,196
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	554,740	2,410,946	774,285	102,547	419,438	5,439	4,267,395
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	-	-	(35,799)	(7,807)	(34,396)	(499)	(78,501)
ცვეთის ხარჯი	-	-	(39,266)	(13,140)	(46,270)	(544)	(99,831)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	7,166	-	-	-	7,166
31 დეკემბერი 2023	-	-	(67,899)	(20,947)	(80,666)	(1,043)	(171,166)
ცვეთის ხარჯი	-	-	(38,714)	(18,224)	(53,490)	(544)	(110,972)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	-	(106,613)	(39,171)	(134,156)	(1,587)	(281,527)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	209,447	2,393,539	706,386	44,755	283,121	4,396	3,641,644
31 დეკემბერი 2024	554,740	2,410,946	667,672	63,376	285,282	3,852	3,985,868

შპს „აკვალაინი“
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024
საქონელი	7,857,663	7,148,390
დაუმთავრებელი მშენებლობა	127,958	15,193
სხვა	4,021	296,365
სულ მარაგები	7,989,642	7,459,948

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	3,778,195	2,529,534
გადახდილი ავანსები	1,272,229	467,030
სხვა მოთხოვნები	609,679	402,649
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,660,103	3,399,213

12. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბანკში არსებული ფულადი სახსრები	143,183	140,256
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	11,483	110,881
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	154,666	251,137

14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2024 წლის ბოლოს შეადგენდა 0 ლარს.

მეწილეებს შორის წილობრივი გადანაწილება არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ვახტანგ მესხი	100%	100%

კომპანიას 2024 წელს გამოაცხადა და გასცა 771,579 ლარის ოდენობის დივიდენდი.

**შპს „აკვალაინი“
ფინანსური ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული ავანსები	2,780,482	3,233,031
სავაჭრო ვალდებულებები	2,400,849	19,675
სხვა	32,023	10,429
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,213,354	3,263,135

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს დამატებით ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.